



საქართველო

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე



(ქ. ოზურგეთი კოსტავას ქ. №1, ტელ. 27-45-25)

N 133
15/10/2019

133-06-4-201910151601



ბრძანება

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსის - ნანა თავდუმაძის
ქვეყნის ფარგლებს გარეთ მივლინების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თემთა მმართველობის კოდექსი“-ს 61-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ პუნქტის, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 51-ე მუხლის 1-ლი პუნქტის, 66-ე მუხლის და „პროფესიული საჯარო მოხელის სამსახურებრივი მივლინებით გაგზავნის წესის, მისი სამსახურებრივი მივლინების ხარჯების ანაზღაურებისა და კომპენსაციის ოდენობისა და პირობების განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 25 აპრილის N211 დადგენილების შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:

1. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსი - ნანა თავდუმაძე მივლინებულ იქნას ლატვიის რესპუბლიკაში, ქალაქ რიგაში, 2019 წლის 21-25 ოქტომბერს დაგეგმილ სასწავლო ტურში მონაწილეობის მისაღებად, 2019 წლის 20 ოქტომბრიდან 26 ოქტომბრის ჩათვლით.
2. დაევალოს, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურს კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელება, მათ შორის მივლინებასთან დაკავშირებული ხარჯების წინსწრებით ანაზღაურების უზრუნველყოფა.
3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში გაცნობიდან ერთი თვის ვადაში (მის: ქ. ოზურგეთი, ი.სიორიძის ქ.#14).
4. ბრძანება ძალაშია ხელმოწერის დღიდან.

დავით დარჩია

საკრებულოს თავმჯდომარე
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

